



Council of Europe Treaty Series - No. 193

ცხოველთა დაცვის ევროპის კონვენცია საერთაშორისო
ტრანსპორტირებისას
(შესწორებული)

ჩისნაუ, 6.XI.203

ევრო კავშირის წევრმა ქვეყნებმა, ხელმომწერმა მხარეებმა,

განსახზღვრეს რომ ევრო კავშირის მიზანია წევრ ქვეყნებს შორის ერთიანობის მიღწევა პრინციპებისა და იდეალების განსაზღვრისა და დაცვის მიზნით, რაც მათ საერთო მემკვიდრეობას წარმოადგენს.

აცრობიერებენ იმას, რომ ყოველ ადამიანს გააჩნია მორალური პასუხისმგებლობა ცხოველებისა და მათი ტანჯვის მიმართ.

ყოველივე ეს მოტივირებულია ცხოველების კეთილდღეობის სურვილით მათი საერთაშორისო ტრანსპორტირებისას.

დარწმუნებულნი არიან რომ საერთაშორისო ტრანსპორტი სავსებით შესაბამისია ცხოველთა კეთილდღეობისათვის და ამკაყოფილებს ცხოველთა კეთილდღეობის მოთხოვნებს.

განიხილავენ ცხოველთა კეთილდღეობის იმ მოთხოვნებს რომელთაც ცოცხალი ცხოველების ტრანსპორტირებისას არ გააჩნიათ განხორციელების ალტერნატივა.

ცხოველთა კეთილდღეობის თვალსაზრისით განიხილავენ მათი ტრანსპორტირების პერიოდსა და ცხოველთა მოკვლას, რაც მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი.

განიხილავენ ცხოველების ტრანსპორტში განთავსებისა და გადმოტვირთვის საქმიანობას, რომლის დროსაც ადგილი აქვს ცხოველთა ტრანზეზსა და სტრესს.

ითვალისწინებენ, რომ პროგრესის მიღწევა ცხოველთა საერთაშორისო ტრანსპორტირების საკითხებში შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი შეხედულებებისა და საერთო პირობების მიღების შემთხვევაში.

და შეთანხმდნენ შემდეგზე:

საერთო პრინციპები

სტატია 1 – განსაზღვრებები

1. „საერთაშორისო ტრანსპორტი“ - ნებისმიერი გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორეში, მაგრამ არა მოგზაურობა 50 კმ-ზე ნაკლებ მანძილზე და გადაადგილება ევრო ეკონომიკური გაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის.
2. „უფლებამოსილი ვეტერინარი“ - კომპეტენტური ორგანოს მიერ არჩეული პირი.
3. „ცხოველთა ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი“ - ორგანიზაციის მკონტროლებელი პირი, რომელის პასუხისმგებელია ვალდებულებების შესრულებაზე მგზავრობის მთელ პერიოდში, ერთისმხრივ მორიგეობისა და მეორე მხრივ ტრანსპორტირებისას. ზემოაღნიშნული პირი გეგმავს, არეგულირებს და განსაზღვრავს მეორე მხარის მიერ წაყენებულ პირობებს.
4. „ცხოველთა კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი პირი“ - პირი, რომელსაც გააჩნია პირდაპირი ფიზიკური პასუხისმგებლობა ცხოველთა მოვლის მიმართ

მათი ტრანსპორტირებისას. ასეთივე პირი შეიძლება იყოს თანმხლები ან სატრანსპორტო საშუალების მძღოლი რომელიც იმავე როლს ასრულებს.

6. „კონტეინერი“ - ნებისმიერი პაკეტი, ყუთი, საცავი ან სხვა მყარი კონტეინერი რომელსაც გამოყენებენ ცხოველთა ტრანსპორტირებისთვის და არ წარმოადგენს თვითმოდრავ ტრანსპორტს.

7. „ტრასპორტიორი“ - ფიზიკური ან იურიდიული, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველთა ტრასპორტირებას დამოუკიდებლად ანდ როგორც მესამე მხარე.

სტატია 2 – ჯიშები

1. კონვენცია ეხება ყველა ტიპის ხერხემლიანი ცხოველის საერთაშორისო ტრანსპორტირებას.

2. მე-4 სტატიის პირველი პარაგრაფის და მე-9 სტატიის 1, 2ა და გ პარაგრაფების გარდა კონვენციის პირობები არ სრულდება შემდეგ შემთხვევებში:

ა. როდესაც თითოეულ ცხოველს ტრანსპორტირებისას მეთვალყურეობას უწევს პასუხისმგებელი თანმხლები პირი;

ბ. როდესაც ტრანსპორტირებისას შინაური ცხოველის თანმხლებია მისი მეპატრონე და ტრანსპორტირებულია არაკომერციული მიზნით.

სტატია 3 – კონვენციის მიღება

1. თითოეულმა მხარემ უნდა მიიღოს კონვენციაში შემავალი ცხოველთა საერთაშორისო ტრანსპორტირების მმართველი პირობები და პასუხისმგებელი უნდა იყოს კონტროლისა და ზედამხედველობის ეფექტურ განხორციელებაზე.

2. კონვენციის პირობების გათვალისწინებით, თითოეულმა მხარემ უნდა განახორციელოს საჭირო ნაბიჯები სწავლების ეფექტური სისტემის უზრუნველსაყოფად.

3. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს ცხოველთა ტრანსპორტირება თავის ტერიტორიაზე კონვენციის შესაბამისი პუნქტების თანახმად.

4. კონვენციის მიღებისა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ორმხრივი დახმარება, კერძოდ ინფორმაციის გაცვლისას, მსჯელობისას და პრობლემების წამოჭრისას.

სტატია 4 – კონვენციის ძირითადი პრინციპები

1. ცხოველთა ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს მათი კეთილდღეობისა ჯანმრთელობის დაცვით.

2. ცხოველთა ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება ნაკლები შეფერხებებით.

3. საკონტროლო პუნქტებზე პრიორიტეტი უნდა ინიჭებოდეს ცხოველთა ტვირთებს.

4. ცხოველთა შეფერხება (შეჩერება) ტრანსპორტირებისას შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ ეს აუცილებელია მისი კეთილდღეობისთვის ან დაავადების კონტროლის მიზნით. ტრანსპორტირების პერიოდში შეფერხებისას უნდა მივიღოთ ცხოველთა მოვლის განსაკუთრებული ზომები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოვახდინოდ მათი ჩამოტვირთვა ტრანსპორტიდან და განთავსება (დაბინავება).

5. კონვენციის პირობების თანახმად თითოეულმა მხარემ ცხოველთა ტრანსპორტირებისას თავიანთ ტერიტორიაზე უნდა მიიღოს უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები რათა თავიდან აიცილონ ან მინიმუმადე დაიყვანონ ცხოველთა ტანჯვა.

6. კონვენციაში არაფერი უნდა ეწინააღმდეგებოდეს სანიტარული და ვეტერინარული კონტროლის განხორციელებას.

7. კონვენციაში არაფერი უნდა ეწინააღმდეგებოდეს მხარეების თავისუფალ გადაწყვეტილებას რომ გაამკაცრონ ცხოველთა დაცვის პირობები მათი ტრანსპორტირებისას.

სტატია 5 – ტრანსპორტიორის უფლებამოსილება

1. თითოეული მხარე დაზღვეული უნდა იყოს, რომ ტრანსპორტიორი, რომელიც ახორციელებს კომერციული თვალსაზრისით ცხოველების გადაზიდვას, აკმაყოფილებს შემდეგს:

ა. კომპეტენტური ორგანოს მიერ მინიჭებული აქვს კვალიფიკაცია.

ბ. აკმაყოფილებს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სატრანსპორტიო უფლებამოსილების მოქმედების ვადებს.

2. თითოეული მხარე გარანტირებული უნდა იყოს რომ ტრანსპორტიორს უფლებამოსილება მინიჭებული აქვს ცხოველთა გადაზიდვის მცოდნე პირისაგან, რომელსაც გავლილი აქვს ტრენინგი კონვენციის პირობების თანახმად.

3. თითოეული მხარე გარანტირებული ინდა იყოს, რომ ტრანსპორტიორის მიერ კონვენციის პირობების მრავალჯერ დარღვევის შემთხვევაში იგი ჩამორთმეული ან გაუქმებული იქნება კომპეტენტური ორგანოს მიერ.

4. თუ ერთი მხარე შეამჩნევს, რომ მეორე მხარის მიერ რეგისტრირებული ტრანსპორტიორი არღვევს კონვენციის პირობებს, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს კონვენციის დარღვევის დეტალები.

დიზაინი და კონსტრუქცია

სტატია 6 - დიზაინი და კონსტრუქცია

1. სატრანსპორტო საშუალებები, კონტეინერი და ყველანაირი გადამხიდი მოწყობილობა ისე უნდა იყოს აგებული, რომ გადაზიდვისას არ მოხდეს ცხოველების დაზიანება და ტრანვირება.

2. სატრანსპორტო საშუალებები ან კონტეინერები ისე უნდა აგებული იყოს, რომ ცხოველს გააჩნდეს მისთვის საჭირო ზომის ადგილი და იმყოფებოდეს ბუნებრივ (ჩვეულ) პოზიციაში, გარდა ფრინველებისა.
3. სატრანსპორტო საშუალებები ან კონტეინერები აგებული უნდა იყოს, რომ უზრუნველყოფდნენ შემდეგს:
 - ა. გააჩნდეს სუფთა ადგილი, რათა ცხოველის ბუნებრივ პოზიციაში ყოფნისას ეფექტურად მოხდეს ჰაერის ცირკულაცია;
 - ბ. ჰაერის ხარისხი და მოცულობა უნდა იყოს თითოეული ჯიშის შესაბამისი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ცხოველი იმყოფება დახურულ სივრცეში.
4. სატრანსპორტო საშუალებები, კონტეინერები და სხვა სახის გადამზიდავი საშუალებები უნდა იყოს მყარი რომ გაუძლოს ცხოველების მასას და დაცული მათი დაქცევის ან წაქცევისაგან, ასევე მასში ცხოველი დაცული უნდა იყოს ტრანსპორტირებისას გამოწვეული რხევებისაგან. კონსტრუქციები აგებული უნდა იყოს ისე, რომ მოხდეს მათი მარტივი დემონტაჟი.
5. განყოფილებების უნდა იყოს საკმარისი მყარი კონსტრუქციის, რომ გაუძლოს ცხოველის მასას და ამავედროულად არ შეუშალოს ხელი ჰაერის ცირკულაციას.
6. სატრანსპორტო საშუალება ან კონტეინერი ისე უნდა იყოს აგებული, რომ დაიცვას ცხოველი ამინდის ცვალებადობის პირობებში. კერძოდ, ცხოველის ზემოთმდებარე შიდა ჰერი მინიმუმადე უნდა ატარებდეს მზის ცხელ ტემპერატურას.
7. სატრანსპორტო საშუალების ან კონტეინერის იატაკი არამცურავი. იატაკი ისე უნდა იყოს დაპროექტებული და აგებული, რომ ცხოველებს ავიცილოთ დისკომფორტი, დაშავება და მინიმალურად მოხდეს ფეკალური მასების გაჟონვა. იატაკის დასაგები მასალა ისე უნდა შერჩეული იყოს, რომ ამცირებდეს კოროზიას.
8. სატრანსპორტო საშუალება ან კონტეინერი ისე უნდა იყოს აგებული, რომ ადვილად ხდებოდეს მათთან შესვლა შემოწმების, ასევე საკვებისა და წყლის მიწოდების თვალსაზრისით.
9. იმ შემთხვევაში თუ ცხოველი ტრანსპორტირებისას საჭიროებს დაბმას იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპეციალური საშუალებებით.
10. ცხოველების გადამზიდავი კონტეინერების ზედა მხარეს უნდა იყოს სპეციალური აღნიშვნა, რაც გარკვევით უნდა მიუთითებდეს მასში ცხოველის არსებობას.
11. სატრანსპორტო საშუალებები ან კონტეინერები ისე უნდა იყოს აგებული, რომ მატრივად მოხდეს მათი გასუფთავება და დიზინფექცირება.

ტრანსპორტირებისთვის მომზადება

სტატია 7 – დაგეგმვა

1. ყოველი მგზავრობისთვის, ცხოველების ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი უნდა ფლობდეს ან მგზავრობის განმავლობაში უნდა მოიპოვოს ინფორმაცია იმ ორგანიზაციის შესახებ, რომელიც ანხორციელებს ცხოველების გადაზიდვას.

2. შინაური კენტჩლიქოსანი ცხოველების, თხების, ღორებისა და მხვილფეხა პირუტყვის ტრანსპორტირებისას მათ გადაზიდვაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა შეადგინოს მათი ტრანსპორტირებისათვის საჭირო დოკუმენტი შემდეგი დეტალებით:

ა. ტრანსპორტიორის და სატრანსპორტის იდენტიფიკაცია;

ბ. ტვირთის დანართი დოკუმენტის იდენტიფიკაცია (ცხოველის ჯიში, საიდენტიფიკაციო ნომერი და ვეტერინარული სერთიფიკატი);

გ. გამგზავრების ადგილი და ქვეყანა, გადაზიდვის ადგილი, ადგილი სადაც უნდა ჩამოიტვირთოს და დაისვენოს ცხოველებმა, ასევე დანიშნულების ადგილი და ქვეყანა.

3. ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირმა მთელი მგზავრობის პერიოდში უნდა უზრუნველყოს საწყისი, სატრანზიტო და საბოლოო ქვეყანაში მოქმედი წესების დაცვა.

4. კონვენციის მე-2 პარაგრაფის მიხედვით, ცხოველთა კეთილდღეობაზე პასუხისმგებელმა პირმა მთელი მგზავრობის პერიოდში უნდა აწარმოოს დოკუმენტური აღრიცხვა ცხოველთა კვებისა და დასვენების განხორციელებული რეჟიმის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი მოთხოვნის შემთხვევაში წარდგენილი უნდა იყოს კომპეტენტური ორგანიზაციის.

5. არ უნდა განხორციელდეს ცხოველის გამგზავრება სანამ ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი არ შეუქმნის მათ მგზავრობისას საჭირო კეთილდღეობის პირობებს. რაც გულისხმობს ცხოველების უზრუნველყოფას წყლით, საკვებით, დასვენებით და მოვლით მთელი მგზავრობის პერიოდში, რის შესახებაც მოხსენება წინასწარ უნდა იყოს გაკეთებული.

6. იმისათვის რომ არ მოხდეს ცხოველთა ტრანსპორტირების შეფერხება, მათ უნდა გააჩნდეთ ყველა თანდართული დოკუმენტი და მათი ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული გამშვები პუნქტის შესაბამისი პირი.

7. ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი გარანტირებული უნდა იყოს, რომ მთელი მგზავრობის პერიოდში, საწყისი ქვეყნიდან დანიშნულების ადგილამდე, მათი განთავსებისა და ჩამოთვირთვის შემთხვევაში შესრულებული იქნება ცხოველთა კეთილდღეობისათვის საჭირო ყველა პირობა.

სტატია 8 – თანმხლები პირი

1. იმისათვის, რომ მგზავრობის პერიოდში განხორციელებული იყო სათანადო ზრუნვა ცხოველებისათვის აუცილებელია მათ ახლდეთ თანმხლები პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ცხოველთა კეთილდღეობაზე. თანმხლები პირის ფუნქცია შეიძლება შეითავსოს მძღოლმაც.

2. თანმხლებ პირს გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური ტრენინგი და პრაქტიკა ცხოველთა ტრანსპორტირებისა და მათი მოვლის შესახებ, ასევე საგანგებო სიტუაციებში.

3. გამონაკლისი შეიძლება გაკეთდეს I პარაგრაფის პირობებისათვის მხოლოდ შემდეგ შემთვევებში:

ა. როდესა ცხოველების ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი ნიშნავს სპეციალურ აგენტს, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველებს საჭირო მოსვენებით, საკვებითა და წყლით.

ბ. იმ შემთვევაში, როდესაც ზედამხედველი ვერ ახერხებს მგავრობის პერიოდში ორჯერ მაინც ცხოველების კონტეინერის შესაბამისად განთავებას და მათ მომარაგებას საკმარისი საკვებითა და წყლით.

სტატია 9 – შესაფერისი (ვარგისი) ტრანსპორტი

1. არ უნდა განხორციელდეს ცხოველების ტრანსპორტირება მგავრობისთვის არავარგისიანი ტრანსპორტით.

2. არ უნდა მოხდეს არაჯანმრთელი ან დაშავებული ცხოველის ტრანსპორტირება. თუმცა ეს პირობა არ ეხება შემდეგს:

ა. მსუბუქი დაზინების მქონე და ავადმყოფი ცხოველები, თუ მგზავრობა არ გამოიწვევს მათი ჯანმრთელობის გაუარესებას.

ბ. ესპერიმენტული ან სხვა სამეცნიერო მიზნით ტრანსპორტირებული ცხოველები, რომელთა მგზავრობა სანქცირებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ და მათი ავადმყოფობა და დაშავება წარმოადგენს სამეცნიერო პროგრამის ნაწილს.

გ. ცხოველთა ტრანსპორტირება ვეტერინარის მეთვალყურეობით გადაუდებელი დახმარების განხორციელებლად.

3. ტრანსპორტირებისას უნდა განხორციელდეს განსაკუთრებული მოვლა და მზრუნველობა ორსული და ახალშობილი ცხოველების მიმართ:

- არ უნდა მოხდეს მაკე მდედრი ძუძუმწოვრების ტრანსპორტირება მშობიარობამდე 10%-იანი ვადის შუალედში, ასევე მშობიარობის შემდეგ 1 კვირის განმავლობაში.

- არ უნდა განხორციელდეს ახალშობილი ძუძუმწოვრების ტრანსპორტირება, სანამ საბოლოოდ არ იქნება მოშუშებული ჭიპლარი.

დარეგისტრირებული მამრი და მდედრი ცხენების ერთობლივი ტრანსპორტირება შესაძლებელია იმ შემთვევაში თუ ვეტერინარის რეკომენდაციით გატარებულია უსაფრთხოების საჭირო ზომები და საშვებელია გამონაკლისი კომპეტენტური ორგანოს მიერ.

4. არ შეიძლება დამამშვიდებელი საშუალებების გამოყენება თუ იგი არ წარმოადგენს აუცილებლობას ცხოველთა კეთილდღეობისთვის, ვეტერინარის კონსულტაციის გარეშე და ადგილობრივი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

სტატია 10 – ინსპექტირება/სერთიფიცირება

1. ცხოველების საერთაშორისო ტრანსპორტში განთავსებამდე ტრანსპორტი ინსპექტირებული უნდა იქნას იმ ქვეყნის უფლებამოსილი ვეტერინარის მიერ საიდანაც იწყება გამგზავრება და დადასტუროს რომ ტრანსპორტი მზად არის მოგზაურებისთვის.

2. უფლებამოსილმა ვეტერინარმა უნდა გასცეს სერთიფიკატი, რომელიშიც იდენტიფიცირებული იქნება ცხოველი და დადასტურებული იქნება რომ იგი ვარგისია ტრანსპორტირებისათვის, თუ შესაძლებელია აღრიცხოს ტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი ან ტრანსპორტის დასახელება და ტიპი.

3. სტატიის პუნქტები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, რომელებიც არ არის გათვალისწინებული მხარეთა შეთანხმებაში.

სტატია 11 – დასვენება, საკვები და წყლით მომარაგება გამგზავრებამდე

1. ცხოველები მომზადებული უნდა იყვნენ გასამგზავრებლად, შეჩვეული უნდა იყვნენ საკვებისა წყლის მიწოდების სიტემებთან ურთიერთობას და გამომუშავებული უნდა ჰქონდეთ კვებისა და დასვენების პერიოდი.

2. უნდა შემცირდეს სატრანსპორტო საშუალებებით გამოწვეული სტრესი, რაც ანაზღაურებული უნდა იყოს, ეს ეხება განსაკუთრებით გარეულ (ველურ) ცხოველებს, რომელთაც წინასწარ უნდა შეუქნათ აკლიმატიზაციის დასაძლველი პირობები.

3. ცხოველების ტრანსპორტში ჩატვირთვისას შეძლებისდაგვარად უნდა დავიზღვიოთ თავი მათი ერთმანეთში შერევისგან და ავტვირთოთ ისინი ტიპების მიხედვით.

ატვირთვა და ჩამოტვირთვა

სტატია 12 – პრინციპები

1. ჩათვირთვა და ამოტვირთვა ისე უნდა განხორციელდეს, რომ არ მოხდეს ცხოველის დაზიანება.

2. ცხოველები არ უნდა ავტვირთოთ ტრანსპორტში, თუ არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი ადგილი (იატაკი და სიმაღლე) და სხვა საჭირო მოთხოვნები, რაც მოცემულია მე-17 სტატიაში.

3. ცხოველები ჩატვირთული უნდა იყოს ტრანსპორტში გამგზავრებამდე ცოტახნით ადრე.

4. ცხოველები ჩამოტვირთული უნდა იყვნენ შეძლებისდაგვარად მოკლე პერიოდში და დანიშნულების ადგილზე უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ საკვების მიწოდებითა და დასვენებით.

სტატია 13 – მოწყობილობები და პროცედურები

ცხოველების ტრანსპორტში ჩატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის უნდა არსებობდეს სპეციალური კონსტრუქციის ლიფტები ან ტრაპები გარდა იმ შემთხვევისა თუ მათი ჩატვირთვა თავიდანვე ცდება კონტეინერებით. იმისათვის, რომ არ წარმოიქმნას სირთულეები პატარა (ახალშობილი) ცხოველების ტრაპით ჩატვირთვისას გამოიყენებენ ლიფტს. ჩატვირთვისა და გადმოტვირთვისთვის საჭირო ყველა მოწყობილობა უნდა იყოს ვარგისიანი და და კარგად გარემონტებული.

2. ტრაპი, რომელზეც ცხოველი მოძრაობს ისე უნდა იყოს აგებული რომ არ მოხდეს ცხოველის დაცურება და მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი მისი დახრილობა. თუ ტრაპის დახრილობა 10⁰-ზე მეტია, მაშინ დაგებული უნდა იყოს სპეციალური ხის ფანერი რომელიც დაიცავს ცხოველს დაცურებისა და სხვა სირთულეებისგან. აუცილებლობის შემთხვევაში დამატებული უნდა იქნას გვერდითი ბარიერები.

3. ტრანსპორტის ინტერიერი სათანადოდ უნდა იყოს განათებული, რომ ცხოველმა კარგად დაინახოს სად მიდის, რაც დამოკიდებულია ჯიშთა სახესხვაობაზე.

4. ცხოველები ჩატვისრთული უნდა იყვნენ ისეთ ტრანსპორტში, რომელიც კარგად არის გაწმენდილი და დიზინფექცირებული.

5. ტვირთი, რომელიც ცხოველებთან ერთად იქნება ჩატვირთული ისე უნდა განთავსებული, რომ არ მიაყენოს ზიანი ცხოველებს და გამოიწვიოს მათი ტრანვირება და დისკომფორტი.

6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები უნდა მივიღოთ იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანსპორტში ცხოველების კონტეინერები ერთმანეთზეა დაწყობილი, რადგან არ მოხდეს ფეკალური მასების გაჟონვა ზედა კონტეინერიდან ქვემოთმდებარეზე.

სტატია 14 – მოვლა

1. ცხოველებს უნდა მოვებერთ თბილად და მსუბუქად, რათა შევუმციროთ განცდა და დავიცვათ ტკივილისა და დაშავებისგან.

2. ტრანსპორტში ჩატვირთვისას უნდა დავიცვათ ცხოველები ხმაურისა ად შეურაწყოფისაგან. არ უნდა დავაზიანოთ ცხოველი და არ დარტყათ მათ განსაკუთრებით სხეული ყველაზე მგრძობიარე ნაწილებზე. კერძოდ, არ უნდა მოვახდინოთ ცხოველის კუდზე ზემოწოლა ან მისი დაგრეხვა, ასევე არ უნდა დავარტყათ მუშტით.

3. ცხოველებს არ უნდა აღენიშნებოდეთ სხეულის სხვადასხვა ნაწილების: თვალის, ყურის, ფეხის, თავის, რქების და სხვა შენელებული მექანიკური მოძრაობები.

4. არ შეიძლება ცხოველების სამართავი მოწყობილობების არამიზნობრივი გამოყენება, კერძოდ ელექტრო შოკი. მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ

მსხვილფეხა საქონელსა და მოზარდ ღორებზე, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ხელმძღვანელს გადაადგილებისას. დარტყმა არ უნდა გაგრძელდეს 1 წამზე დიდხანს, უნდა განმეორდეს დროის განსაზღვრულ პერიოდში და უნდა განხორციელდეს მხოლოდ უკანა კუნთზე. შოკის გამოყენება შესაძლებელია მრავალჯერ და ზედიზედ თუ ცხოველი იმყოფება ურეაქციო მდგომარეობაში.

5. არ უნდა მოვახდინოთ ცხოველების გადევნა და მათზე ზემოქმედება რაიმე მიმართული საგნით. ჯოხების ან რაიმე სხვა ტიპის იარაღის გამოყენება შესაძლებელია თუ არ მივაყენებთ ცხოველს აღნიშნული ნივთით რაიმე სახის დაზიანებას.

სტატია 15 – დაყოფა/განაწილება

1. ცხოველები უნდა გადანაწილდნენ ცალცალკე თუ შესაძლებელია მათი დაზიანება ან დაშავება. ეს ეხება შემდეგ შემთხვევებს:

- ა. სხვადასხვა ჯიშის ცხოველები;
- ბ. ცხოველები ვერ ეწყობიან ერთმანეთს;
- გ. ზომითა და ასაკით მნიშვნელოვნად განსხვავებული ცხოველები;
- დ. არაკასტრირებული მოზარდი მამრები;
- ე. დაბმული და აშვებული ცხოველები.

2. პირველი პარაგრაფის პირობები არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ცხოველები შეწყობილად არიან ერთმანეთთან დაჯგუფებულები, თუ მათი დაყოფა ზიანს მოუტანს მათსავე მდგომარეობას და აუცილებელია ახალშობილს თან ახლდეს მდედრი.

სატრანსპორტის ინსტრუქციები

სტატია 16 – იატაკი და დასაწოლი საშუალება

ტრანსპორტირების საშუალების ან კონტეინერის იატაკი ისეთი მასალით უნდა იყოს აგებული, რომ მინიმუმანდე მოხდეს ფეკალური მასების გაჟონვა. ტრანსპორტირების საშუალების ან კონტეინერის იატაკი დაფარული უნდა იყოს სპეციალური დასაწოლი მასალით, რომელიც შეიწოვს ფეკალური მასებს, სხვა შემთხვევაში ცხოველი უზრუნველყოფილი უნდა იქნას დასაწოლი საშუალების სხვა ალტერნატიული ვარიანტით.

სტატია 17 – ნირმით დასაშვები სივრცე (იატაკი და სიმაღლე)

1. სატრანსპორტო საშუალებებსა ან კონტეინერში ცხოველები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ მათ ბუნებრივ პოზიციაში ყოფნისათვის საჭირო სივრცით. ასევე უნდა გააჩნდეთ ტექნიკური პროკოლით გათვალისწინებული დასაწოლი საშუალება ან ცხოველის დავცისთვის საჭირო სპეციალური პირობები.

ტექნიკური პროტოკოლი შედგენილია კონვენციის 34-ე სტატიის თანახმად და განსაზღვრავს ცხოველისათვის საჭირო ადგილს.

2. აუცილებელია სადგომი ადგილის შემოღობვა, რათა დიდი რაიოდენობით ცხოველების ერთად განთავსების შემხვევასა და მცირედ განთავსებისას მოძრაობის შემთხვევაში არ მოხდეს მათი დაშავება.

3. დანაყოფები ცხოველის ზომების შესაბამისი უნდა იყოს, ასევე ისინი საიმედოდ დაცული უნდა იყვნენ დაზიანებებისა და დაშავებისაგან.

სტატია 18 – ცხოველთა დაბმა

1. როდესაც ცხოველი იმყოფება დაბმულ მდგომარეობაში, აუცილებელია, რომ დასაბმელი საშუალება იყოს მყარი, რომ არ დაზიანდეს ნორმალურ ტრანსპორტირების პირობებში და ასევე უნდა იყოს საკმაო სიგრძის რომ არ შეუქმნას ცხოველს პრობლემები საკვების მიღებისა და დასვენებისას. დასაბმელი საშუალებები არ უნდა ქმნიდეს ცხოველის დახრჩობის ან რაიმე სხვა სახის დაზიანების საფრთხეს. ცხოველები არ უნდა იყვნენ დაბმულნი ფეხებით, რქებით, ცხვირის რგოლებით და ორივე ფეხით. ცხოველების დაბმა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალურ მოწყობილობაზე, რაც უზრუნველყოფს ასევე მათ სწრაფ გაშვებას.

სტატია 19 – ვენტილაცია და ტემპერატურა

1. ცხოველები უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკმარისი ვენტილაციით და სრულიად უნდა აკმაყოფილებდეს მათ მოთხოვნილებას, რისთვისაც გათვალისწინებული უნდა იყოს ტრანსპორტირებული ცხოველების რაიოდენობა და ტიპები, ასევე მგზავრობის პერიოდში მოსალოდნელი ამინდის პირობები.

2. თუ კონტეინერები ხელს უშლიან ვენტილაციას ისინი დაუყოვნებლივ უნდა იყოს აღებული.

3. თუ ცხოველების ტრანსპორტირება ხორციელდება არაშესაფერისი ტენიანობისა და ტემპერატურის პირობებში, უნდა მოხდეს შესამაბისი ზომების მიღება მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

სტატია 20 – წყალი, საკვები და დასვენება

1. ტრანსპორტირებისას ცხოველებს განსაზღვრულ პერიოდში უნდა მიეწოდოთ წყალი და საკვები, ასევე უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ დასასვენებელი საშუალებებით.

2. ტექნიკური პროტოკოლი შედგენილია კონვენციის 34 სტატიის მისხედვით, სადაც განსაზღვრულია მგზავრობის მაქსიმალური პერიოდი, წყლისა და საკვების მიწოდების ინტერვალი და დასვენების დრო.

3. ცხოველისათვის მიწოდებული საკვები და წყალი უნდა იყოს კარგი ხარისხის.

სტატია 21 – მდედრები ლაქტაციის პერიოდში

არ შეიძლება ლაქტაციის პერიოდში მყოფი მდედრების დიდხანს მგაზვრობა. აუცილებლობის შემთხვევაში კი უნდა მოქტეს მათი მოწველა გამგზავრებამდე და მგზავრობის პერიოდში არაუგვიანეს 12 საათის განმავლობაში.

სტატია 22 - განათება

სატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს ძირითადი ან პორტატული განათებით, ისე რომ ეს განათება საკმარისი იყოს ცხოველის დასათვალიერებლად, ასევე საკვებითა და წყლით მომარაგებისათვის.

სტატია 23 – კონტეინერები

1. ტრანსპორტირებისას კონტეინერები უნდა იმყოფებოდნენ ვერტიკალურ მდგომარეობაში და ნაკლებად უნდა დაზიანდეს მგზავრობით გამოწვეული რსევებისაგან.

2. კონტეინერები ისე უნდა იყოს დაცული, რომ არ გადადგილდნენ სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას.

სტატია 24 – ცხოველეთა მოვლა ტრანსპორტირებისას

ცხოველთა კეთილდღეობაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა ცხოველებზე კონტროლისა და ადმინისტრირების მიზნით დასაჭიროების შემთხვევაში გაუწიოს მათ სათანადო მზრუნველობა.

სტატია 25-გადაუდებელი დახმარება და უბედური შემთვევა ტრანსპორტირების პერიოდში

თუ მგზავრობის პერიოდში დაშავდება ან გაუარესდება ცხოველის ჯანმრთელობა აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს მას პირველადი დახმარება; საჭიროების შემთხვევაში უნდა ჩაუტარდეთ ვეტერინარული ღონისძიება ან იქნან მოკლულნი რადგან თავიდან ავაცილოთ ტრანვით გამოწვეული ტანჯვა.

სპეციალური პირობები

სტატია 26 - სპეციალური პირობები სარკინიგზო ტრანსპორტირებისას

1. ყველა სარკინიგზო ვაგონზე, რომლითაც ხორციელდება ცხოველთა ტრანსპორტირება, უნდა იყოს სპეციალური აღნიშვნა რომ მასში განთავსებულია ცოცხალი ცხოველები. თუ ცხოველების ტრანსპორტირება ხორციელდება კონტეინერებით, მაშინ მისი შიდა კედლები დაფარული უნდა იყოს შესაბამისი მასალით, უნდა იყოს მთლიანად გლუვი და აღჭურვილი შესაბამის სიმაღლეზე დამაგრებული რგოლებითა და პლანკებით, რომ ცხოველებს შეეძლოთ თავისუფლად დაყრდნობა.

2. თუ კენტჩლიქიანი ცხოველების ტრანსპორტირება არ ხორციელდება ინდივიდუალური ყუთებით, მაშინ ისინი დაბმული უნდა იყვნენ ერთიადიმავე მხარეს ან ერთმანეთის პირისპირ. თუმცა არ უნდა იყვნენ დაბმული კვიცები და დაუზიანებელი ცხოველები.

3. დიდი მასის მქონე ცხოველები ისე უნდა ჩაიტვირთონ ტრანსპორტში, რომ თანმხლებმა პირმა შეძლოს მათ შორის თავისუფლად გადაადგილება.

4. სარკინიგზო საშუალებით ტრანსპორტირებისას განსაკუთრებული ზომები უნდა მივიღოთ რადგან თავიდან ავიცილოთ ცხოველთა კონტეინერის რხევა.

5. კონვენციის 24-ე სტატიის თანახმად, ამინდის ცვლილების ან ვაგონის გაჩერების შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა ცხოველთა მდგომარეობის შესამოწმებლად.

სტატია 27 - სპეციალური პირობები საგზაო საშუალებით ტრანსპორტირებისას

1. სატრანსპორტო საშუალებაზე აღნიშნული უნდა იყოს ცხოველთა არსებობის დამადასტურებელი სპეციალური ნიშანი.

2. სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას გარანტირებული უნდა იყოს შეუმჩნეველი სიჩქარის მატება, შენელება და დამუხრუჭება.

3. კონვენციის 13 სტატიის თანახმად, სატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს ცხოველთა ატვირთვისა და ჩამოტვირთვის შესაბამისი მოწყობილობებით.

4. კონვენციის 24-ე სტატიის თანახმად, ამინდის ცვლილების ან სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა ცხოველთა მდგომარეობის შესამოწმებლად.

სტატია 28 - სპეციალური პირობები საზღვაო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებისას

1. იმისათვის, რომ შესრულებული იყოს ცხოველთა კეთილდღეობისათვის საჭირო პირობა, იმ ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ, საიდანაც ხორციელდება ცხოველთა ტრანსპორტირება, გამგზავრებამდე უნდა შეამოწმოს შემდეგი:

ა. ცხოველთა ტრანსპორტირებისათვის საჭირო სპეციალური გემის აგება ან კონვენტირება;

ბ. ან გარკვეული შეთანხმების გაფორმება სხვა საზღვაო სატრანსპორტო საშუალებებზე.

2. ვენტილაციის სისტემის გაჩერების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს განგაშის ავტომატური ამოქმედება. პირველი სავენტილაციო რესურსის გათიშვის შემთხვევაში უნდა ამუშავდეს მისგან რადიკალურად გამოყოფილი მეორადი სარეზერვო სავენტილაციო სისტემა.

3. არ უნდა განხორციელდეს ცხოველთა ტრანსპორტირება ღია გემბანით, რადგან ისინი დაცული უნდა იყვნენ ზღვის წყლისგან.

4. თუ ცხოველები მოძრაობენ საღვათ ტრანსპორტის წინა და უკანა ნაწილში, მაშინ ისინი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სპეციალური ტრაპებითა და დაფებით.

5. ცხოველების საზღვაო ტრანსპორტში ჩატვირთვისა და გადმოტვირთვას უნდა მეთვალყურეობდეს უფლებამოსილი ვეტერინარი.
6. ცხოველთა სათავსოები, ტრაპი და გასასვლელი შესაბამისად უნდა იყოს განათებული ცხოველთა ჩატვირთვისა და გადმოტვირთვისას, და უნდა აკმაყოფილებდეს თითოეული ჯიშისათვის დანსაზღვრულ სპეცილურ მოთხოვნებს.
7. თითოეული კაბინა და კონტეინერი უნდა იყოს პირდაპირ შესაღწევი როგორც ცხოველებისთვის ასევე მათი თანმხლები პირებისთვის.
8. კორიდორი უნდა იყოს შესაბამისი ტრანსპორტირებადი ცხოველებისთვის, კერძოდ არ უნდა შედგებოდეს ბასრი ზღუდეებისა და კითხვებისაგან.
9. გემის ყველა ის ნაწილი სადაც ცხოველებია მოთავსებული აღწერილი უნდა იყოს ეფექტური დრენაჟებით და დაცული უნდა იყოს კარგი სანიტარული პირობები.
10. საზღვაო ტრანსპორტი, მოგზაურობის მთელ პერიოდი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყლის, საკვებისა და ცხოველთა მოსასვენებელი ადგილების მარაგით.
11. გაუთვალისწინებელი შეყოვნების პირობებში უნდა არსებობდეს წყლის, საკვებისა და ცხოველთა მოსასვენებელი ადგილების დამატებითი მარაგი.
12. საკვებისა და ცხოველთა მოსასვენებელი ადგილების მარაგი განთავსებული უნდა იყოს მშრალ ადგილას და დაცული უნდა იყოს ამინდისა და ზღვისგან. აღნიშნული მარაგი დაცული უნდა იყოს ვენტილაციის სისტემის, განათების და დრენაჟებისაგან და არ უნდა განთავსდეს გასასვლელელებში.
13. სასმელი და საკვები მოწყობილობები შესაბამისი უნდა იყოს ცხოველთა რაოდენობისა და ზომისა.
14. უნდა შეიქმნას სპეციალური პირობები ცხოველთა იზოლაციისათვის თუ ისინი დაავადდებიან და დაზიანდებიან მგზავრობის პერიოდში.
15. კრიტიკული სიტუაციის პირობებში შესაძლებელი უნდა იყოს ცხოველის მოკლა რაც უნდა განხორციელდეს კონვენციის 25 სტატიაში მოცემული პირობების შესაბამისად. საკლავი აპარატები შესაბამისი უნდა იყოს თითოეული ჯიშისთვის.

სტატია 29 - საგზაო, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის სპეციალური პირობები

1. თუ ცხოველის ტრანსპორტირება ხორციელდება საგზაო, სარკინიგზო და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებებით, განსაკუთრებით დახურული გემბანით, მიღებული უნდა იყოს განსაკუთრებული პირობები, რაც უზრუნველყოფს სპეცილურ ვენტილირებას და სუფთა ჰაერის მაქსიმალურ მიწოდებას მთელი მგზავრობის პერიოდში.

2. ცხოველთა კეთილდღეობაზე პასუხისმგებელ პირს უნდა შეეძლოს ცხოველების მონახულება მათი ინსპექტირება და საჭიროების შემთხვევაში წყლისა და საკები მიწოდება.
3. საგზაო და სარკინიგზო ვაგონები და კონტეინერები აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი რაოდენობის საჭირო მოწყობილობებით, რაც მყარად იქნება დამაგრებული ტრანსპორტზე. საგზაო და სარკინიგზო ვაგონები, ასევე კონტეინერები დაცული უნდა იყოს საღვაო მოგზაურობის დაწყებამდე, რათა არ დაზიანდნენ საზღვაო მოგზაურობისას წარმოქმნილი რხევებით.
4. ცხოველების ტრანსპორტირება დასაშვებია საგზაო და სარკინიგზო საშუალებების ღია კონტეინერებით, თუ ისინი დაცული იქნებიან ზღვის წყლისაგან.
5. სატრანსპორტო საშუალების ვენტილაციის სისტემის გათიშვის შემთხვევაში უნდა ჩაირთოს განგაში და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მეორადი სავენტილაციო სისტემის დაუყოვნებელი ამუშავება.
6. ტრანსპორტირებისას წარმოქმნილი გაუთვალისწინებელი შეყოვნების ან სხვა აუცილებელ შემთხვევაში ცხოველებს უნდა მიეწოდოთ საჭირო წყალი და საკები.
7. განსაკუთრებულად კრიტიკულ შემთხვევაში, თუ ტრანსპორტირება გრძელდება განსაზღვრულზე 2 საათით მეტხანს, შესაძლებელი უნდა იყოს ცხოველის მოკვლა კონვენციის 25-ე სტატიაში მოცემული პირობების შესაბამისად. საკლავი აპარატები უნდა იყოს ჯიშის შესაბამისი.

სტატია 30 - საჰაერო ტრანსპორტის სპეციალური პირობები

1. არ უნდა განხორციელდეს ცხოველების ტრანსპორტირება თუ მგავრობის პერიოდში შესაბამის დიაპაზონზე არ იქნება დაცული ჰაერის ხარისხის, ტემპერატურისა და წნევის საჭირო პირობები.
2. მმართველმა უნდა მიიღოს ინფორმაცია ცხოველთა ჯიშების, რაოდენობისა და თვითმფრინავში მათი ადგილმდებარეობის შესახებ, ასევე სხვა საჭირო ინფორმაცია. ცხოველებთან დაკავშირებული ნორმების დარღვევის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მმართველს.
3. თვითმფრინავში ცხოველების ჩატვირთვა უნდა მოხდეს გაფრენამდე ცოტახნით ადრე.
4. ცხოველებს პრეპარატები უნდა მიეცეთ მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში, რაც ნებადართული უნდა იყოს ვეტერინარის ან სხვა კომპეტენტური პირის მიერ და დართული უნდა ქჰონდეს მიღების ინსტრუქცია. ზემოაღნიშნული საქმიანობის გატარების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მმართველს.
5. კონვენციის 25-ე სტატიის თანახმად, თანმხლებს პირს უფლება აქვს, აუცილებლობის შემთხვევაში, ცხოველების მოსაკლავად გამოიყენოს სპაციალური დასამშვიდებელი პრეპარატები ან უმტკივნეულოდ მოსაკლავი საშუალებები მხოლოდ მმართველთან შეთანხმებით.

6. თანმხლებ პირს გაფრენისთანავე უნდა გააჩნდეს ეფექტური კომუნიკაციის საშუალება მთელ ეკიპაჟთან.

მრავალმხრივი კონსულტაციები

სტატია 31 - მრავალმხრივი კონსულტაციები

1. მხარეებმა, ევრო საბჭოს საზღვრებში, მრავალმხრივი კონსულტაციები უნდა ჩაარატონ კონვენციის ძალაში შესვლიდან ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ან უფრო ხშირად მხარეთა უმრავლესობის გადაწყვეტილების შემთხვევაში.

2. აღნიშნული კონსულტაციები უნდა გატარდეს ევრო საბჭოს გენერალური მდივნის მიერ მოწვეულ შეხვედრაზე.

3. თითოეულ მხარეს უფლება აქვს აირჩიოს ერთი ან მეტი წარმომადგენელი კონსულტაციებში მონაწილეობის მისაღებად. მხარეებმა წარმომადგენლის ვინაობა უნდა აცნობოს ევრო საბჭოს გენერალურ მდივანს ერთი თვით ადრე ყოველი დანიშნული შეხვედრის წინ. თითოეულ მხარეს გააჩნია ხმის მიცემის უფლება. კონვენციის თითოეულ მხარეს გააჩნია ერთი ხმის უფლება.

4. ევრო ეკონომიკურმა გაერთიანებამ, კომპეტენციის ფარგლებში, კონვენციის მხარედ გახდომისას უნდა გამოიყენოს ხმის მიცემის უფლება მისი ხმათა რაოდენობის მიხედვით რაც შესაბამისი უნდა იყოს კონვენციის წევრი ქვეყნების ხმათა რაოდენობისა. ევრო ეკონომიკურმა გაერთიანებამ არ უნდა გამოიყენოს მისი ხმის მიცემის უფლება თუ წევრი ქვეყნები მონაწილეობენ თავისმხრივს ან პირიქით.

5. მხარეებმა შესაძლებელია მოითხოვონ ექსპერტები. მათ შეუძლიათ თავისი ინიციატივით ან შესაბამისი ორგანოს მოთხოვნით მოიწვიონ საერთაშორისო ან ადგილობრივი, სამთავრობო ან არასამთავრობო სექტორში მომუშავე, ტექნიკურად კვალიფიციური პირი, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევს კონვენციის მხარეთა კონსულტაციებს. ამ ტიპის ექსპერტის ან პირის მოწვევა გადაწყვეტილი უნდა იყოს ხმათა 2/3-ით.

6. ყოველი კონსულტაციის შემდეგ მხარეებმა ევრო საბჭოს მინისტრთა კომიტეტს უნდა წარუდგინოს მოხსენება კონსულტაციისა და კონვენციის ფუნქციონირების შესახებ.

7. კონვენციის მომზადების პირობებში მხარეებმა უნდა შეადგინონ კონსულტაციისათვის საჭირო პროცედურების წესები.

სტატია 32 - ფუნქციონირება და მრავალმხრივი კონსულტაციები

მრავალმხრივი კონსულტაციების ფარგლებში, მხარეები პასუხისმგებელი არიან კონვენციის შემდეგი დანართების შესრულებაზე, კერძოდ:

ა. 34-ე სტატიის თანახმად კონვენციისათვის ტექნიკური პროტოკოლის მომზადება;

ბ. 35-ე სტატიის თანახმად კონვენციაში შეიტანოს საჭირო ცვლილებები და განიხილოს წინადადებები;

გ. ერთი ან რამდენიმე მხარის მოთხოვნით განიხილოს კონვენციის თარგმნასთან დაკავშირებული საკითხები;

დ. მინისტრთა კომიტეტს მიაწოდოს რეკომენდაციები კონვენციაში სტრუქტურების მონაწილეობის მიღების შესაძლებლობების შესახებ.

ტექნიკური პროტოკოლი

სტატია 33 - მიზანი

მხარეებმა უნდა მიიღონ კონვენციის ტექნიკური პროტოკოლი, საჭირო სივრცის (ადგილის, სტატია 17) და წყლის, საკვებისა და დასვენების (სტატია) შესახებ. ასევე მათ შეუძლიათ მიიღონ სხვა ტექნიკური პროტოკოლები, რაც შეეხება კონვენციაში შემავალი პირობებისა და მათი განხორციელების ტექნიკური ნორმების შესრულებას.

სტატია 34 - დამტკიცება და ძალაში შესვლა

1. ტექნიკური პროტოკოლი მიღებული უნდა იყოს უმრავლესობის ხმათა 2/3-ით და შემდეგ გაგზავნოს მინისტრთა კომიტეტს დასამტკიცებლად. დამტკიცების შემდეგ ტექსტი გაგზავნოს მხარეებს დასამტკიცებლად.

2. კონვენციის მიმღები მხარეებისათვის ტექნიკური პროტოკოლი ძალაში უნდა შევიდეს ერთი თვის შემდეგ პირვლივე დღიდან, როდესაც მესამე მხარემ, და მათ შორის ევრო საბჭოს 2 წევრმა მხარემ აცნობა გენერალურ მდივანს აცნობეს კონვენციის მიღება. სხვა მხარეთათვის, რომლებმაც შემდგომში მიიღეს პროტოკოლი იგი ძალაში შევა ერთი თვის შემდეგ პირვლივე დღიდან, როდესაც მონაწილე მხარე აცნობებს გენერალურ მდივანს კონვენციის მიღებას.

3. ტექნიკური პროტოკოლის მომზადების მიზნით მხარეებმა უნდა განავითარონ ცხოველთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევები და ახალი მეთოდები.

სტატია 35 - ცვლილებები (შესწორებები)

1. მხარეთათვის ან მინისტრთა კომიტეტისთვის წარდგენილი ტექნიკურ პროტოკოლში შესატანი თითოეული ცვლილება, უნდა ეუწყოს ევრო საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც მის მიერ უნდა იქნას გაგზავნილი ევრო საბჭოს წევრი ქვეყნებისთვის, ევრო ეკონომიკურ გაერთიანებას და სხვა არა წევრს წევრებს, რომელთაც 34 სტატიის თანახმად მონაწილეობა მიიღეს ან მოწვეული იყვნენ კონვენციის შეთანხმებისას.

2. ზემოაღნიშნულ პარაგრაფების თანახმად, ნებისმიერი შესატანი ცვლილება უნდა განიხილოს მრავალმხრივი კონსულტაციისათვის არაუგვიანეს 6 თვისა, გენერალური მდივანისდმი გაგზავნის თარიღიდან, სადაც დამტკიცდება მხარეების მიერ ხმათა 2/3-ით. დამტკიცებული ტექსტი უნდა გაგზავნოს მხარეებს.

3. მხარეთა 2/3-ზე მეტს უფლება აქვს, მრავალმხრივ კონსულტაცაზე დამტკიცებიდან 18 თვიანი პერიოდის ვადის ამოწურვიდან ერთი თვის შემდეგ, განაცხადოს, რომ მხარს არ უჭერს აღნიშნულ ცვლილებებს, ნებისმიერი

ცვლილება ძალაში უნდა შევიდეს იმ მხარეებისთვისაც, რომლებიც მხარს უჭერენ ცვლილებების შეტანას.

დავის გადაწყვეტა

სტატია 36 - დავის გადაწყვეტა

1. კონვენციის პირობების განსაზღვრებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავის შემთხვევაში მხარეთა კომპეტენტურმა ხელისუფლებამ კონსულტაციები უნდა გაუწიონ ერთმანეთს. თითოეულმა მხარემ ვერო საბჭოს გენერალურ მდივანს უნდა გაუგზავნოს საკუთარი კომპეტენტური ხელისუფლების დასახელება და მისამართი.

2. თუ დავა არ იქნა დარეგულირებული, მაშინ ერთ ან მეორე მხარის მოთხოვნით უნდ გაეგზავნოს არბიტრაჟს. თითოეულმა მხარემ უნდა დანიშნოს არბიტრი და ამ 2-მა არბიტრმა უნდა დანიშნოს რეფერი. თუ რომელიმე მოდავე მხარემ, არბიტრის მოთხოვნიდან სამი თვის მანძილზე, ვერ დანიშნა საკუთარი არბიტრი, მაშინ მეორე მხარის მოთხოვნით იგი უნდა დანიშნოს ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლოს პრეზიდენტმა. თუ ამ უკანასკნელს აქვს იგივე ეროვნება, რაც რომელიმე მოდავე მხარეს, მაშინ მის ვალდებულებებს შეასრულებს სასამართლოს ვიცე პრეზიდენტი, ხოლო თუ აღნიშნული პირობებში იმყოფება ვიცე პრეზიდენტიც მაშინ დაკისრებულ ვალდებულებებს შეასრულებს სხვა ეროვნების მქონე სასამართლოს მთავარი მოსამართლე. მგავსი პროცედურები უნდა იქნას დაცული თუ არბიტრები არ ეთანხმებიან რეფერის გადაწყვეტილებას.

ორ მხარეს შორის დავის წარმოქმნის შემთხვევაში, რომელთაგან ერთი არის ევრო ეკონომიკური გაერთიანების წევრი, შემდგომში თავისმხრივ მხარე, მეორე მხარემ უნდა მიმართოს არბიტრაჟის მოთხოვნით, როგორც წევრ ქვეყანას ასევე გაერთიანებას, რომლებიც ერთობლივად უნდა დარეგისტრირდნენ მოთხოვნის მიღებიდან 3 თვის ვადაში, გაერთიანების წევრი ქვეყანა ან ერთად, წევრი ქვეყანა და გაერთიანება შეიძლება იყოს მოდავე მხარე. განსაზღვრულ ვადებში რეგისტრაციის არ არსებობის შემთხვევაში წევრმა ქვეყანამ და გაერთიანებამ, მმართველი კონსტიტუციისა და არბიტრაჟის ტრიბუნალის პროცედურების პირობების მიღების მიზნით უნდა განიხილონ ერთი მოდავე მხარის არსებობა. მგავსი პროცედურები უნდა გატარდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოდავე მხარეებს ერთობლივად წარმოადგენს თავისმხრივ წევრი ქვეყანა და გაერთიანება.

3. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა დაადგინოს საკუთარი პროცედურები. მისი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს ხმათა უმრავლესობით. გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს კონვენციის საფუძველზე და უნდა იყოს საბოლოო.

4. დავის გადაწყვეტის პროცედურები არ უნდა შეეხოს ევრო ეკონომიკური გაერთიანების კომპეტენციისათან დაკავშირებულ დავის საკითხებს ან იმ მხარეთა კომპეტენციის შესაძლებლობების განსაძრვრას, რომლებიც ევრო ეკონომიკური გაერთიანების წევრებს ან მგავს გაერთიანებებს წარმოადგენენ.

საბოლოო კლავზულა (პუნქტი)

სტატია 37 - ხელმოწერა, რატიფიკაცია, მიღება, დამტკიცება

1. კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევრო საბჭოს წევრი ქვეყნებისა და ევრო ეკონომიკური გაერთიანებისთვის. იგი რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების საგანია. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების ინსტრუმენტები შეტანილი უნდა იქნას ევრო საბჭოს გენერალური მდივნისათვის.
2. ცხოველთა ტრანსპორტირების ევრო კონვენციის არცერთ მხარეს არ შეუძლია შეიტანოს მისი რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების ინსტრუმენტები, რომელიც ღიაა ხელმოსაწერად პარიზში 1968 წლის 13 დეკემბრიდან, თუ ზემოაღნიშნული კონვენცია უკვე განხილულია ან მიმდინარეობს მისი ერთობლივი განხილვა.
3. კონვენციის ზემოაღნიშნული პუნქტების თანახმად, კონვენცია ძალაში შედის 4 სახელმწიფოს მიერ თანხმობის მიღებიდან 6 თვის შემდეგ.
4. თუ ზემოაღნიშნულ ორ პარაგრაფში, 1968 წლის 13 დეკემბერში განხილული შეთანხმება არ გამოდგა ეფექტური კონვენციის ძალაში შესვლისას, მაშინ კონტრაქტორ მხარეებს ან ევრო ეკონომიკურ გაერთიანებს შეუძლიათ მისი რატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების ინსტრუმენტების შეტანისას განაცხადონ, რომ 1968 წლის 13 დეკემბრის შეთანხმების მიღება გაგრძელდება აღნიშნული კონვენციის ძალაში შესვლამდე.
5. ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის ან ევრო ეკონომიკური გაერთიანებასთვის კონვენცია ძალაში შევა მისი რატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების ინსტრუმენტების მიღების თარიღიდან 6 თვის შემდეგ.

სტატია 38 - არა წევრი ქვეყნების მიღება

1. კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევრო საბჭოს მინისტრთა კომიტეტს კონვენციაში შეუძლია მოიწვიოს ნებისმიერი არა წევრი ქვეყანა, ევროსაბჭოს წესდების მე-20 სტატიის დ პუნქტის თანახმად უმრავლესობის გადაწყვეტილების საფუძველზე და კომიტეტში მსხდომი უფლებამოსილი კონტრაქტორი ქვეყნების წარმომადგენლების ხმათა ერთობლიობით.
2. ყველა მიღებული ქვეყნისათვის კონვენცია ძალაში შევა ევრო საბჭოს გენერალური მდივნის მიერ მიღების ინსტრუმენტების დეპონირების თარიღიდან 6 თვის შემდეგ.

სტატია 39 - ტერიტორიული კლავზულა (პუნქტი)

1. თითოეული სახელმწიფომ ან ევროეკონომიკურმა გაერთიანებამ, ხელმოწერისას ან რატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების ინსტრუმენტების დეპონირებისას უნდა აღნიშნოს კონვენციის მიღების ტერიტორია (ადგილი) ან ტერიტორიები.
2. სახელმწიფოებს ან ევროეკონომიკურ გაერთიანებას მოგვიანებით შეუძლიათ გააფართოვონ კონვენციის მიღების არეალი, ევროსაბჭოს გენერალური მდივანისადმი გაგზავნილი დეკლარაციის საფუძველზე, სადაც აღნიშნული

იქნება სხვა ტერიტორიები. ამ შემთხვევაში კონვენცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ მიღებული დეკლარაციის თარიღიდან 6 თვის შემდეგ.

3. ნებისმიერი დეკლარაცია, მიღებული ზემო ორი პარაგრაფის თანახმად, აღნიშნული ტერიტორიის მიუხედავად გაუქმებული იქნება გენერალური მდივნისადმი დაგზავნილი უწყების საფუძველზე. გაუქმება ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ მიღებული უწყების თარიღიდან 6 თვის შემდეგ.

სტატია 40 - დენონსირება (ბრალდება)

1. ნებისმიერ მხარეს, ნებისმიერ დროს შეუძლია კონვენციის დენონსირება ევრო საბჭოს გენერალური მდივანისადმი გაგზავნილი უწყების საფუძველზე.

2. აღნიშნული დენონსირება (ბრალდება) ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ მიღებული უწყების თარიღიდან 6 თვის შემდეგ.

სტატია 41 - უწყება

ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს, ევრო ეკონომიკურ გაერთიანებასა და სხვა სახელმწიფოებს, რომლების მიღებულია ან მოწვეულია კონვენციაში უნდა აუწყოს შემდეგი:

ა. ნებისმიერი ხელმოწერა;

ბ. რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შესვლის ნებისმიერი ინსტრუმენტის დეპონირება;

გ. კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღი, 37-ე და 38-ე სტატიის თანახმად;

დ. აღნიშნულ კონვენციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტი, უწყება ან ურთიერთობა.

ვადასტურებს, რომ ხელმოწერილი დოკუმენტი უფლებამოსილებას აძლევს კონვენციის ხელმომწერებს.

კონვენცია მიღებულია ჩისაუში, 2003 წლის 6 ნოემბერს ინგლისურ და ფრანგულ ენაზე, ორივე ტექსტი იდენტურია, ერთი ასლი შეტანილი და შენახულია იქნება ევრო საბჭოს არქივში. ევრო საბჭოს გენერალურმა მდივანმა დამოწმებული კოპიოები უნდა გაუგზავნოს ევრო საბჭოთ თოთოეულ წევრ ქვეყანას, ევრო ეკონომიკურ გაერთიანებას და კონვენციაში მიღებულ ან მოწვეულ ნებისმიერ ქვეყანას.